



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 1346

2015 წლის 18 სექტემბერი

ქ. მცხეთა

შ.პ.ს. „B&B“ -სათვის თანხის გადარიცხვის შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ.პ.ს. „B&B“-ს შორის 17.07.2015წ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული №23 ხელშეკრულების, შესრულებული სამუშაოს მიღების №1 აქტის (ფორმა №2), 11.09.2015წ. მიღება-ჩაბარების აქტის, შ.პ.ს. „B&B“-ს დირექტორის, ბერდია ბანძელაძის 25.08.2015წ. №2-2047 განცხადებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, მერაბ თუხარელის 14.09.2015წ. №2-2047 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან, შ.პ.ს. „B&B“-ს გადაერიცხოს, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძალისში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 27284 (ოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდაოთხი) ლარი და 80 თეთრი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
გამგებელი



ზ. აბესაძე